

**ჩრდილო კავკასიის აბორიგენი მოსახლეობა VII-IX საუკუნეებში  
(ადიღე-ზიხები და დაღესტნური სახელმწიფოები)**

**გუმაშვილი ზაურ**  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, თელავი

<https://doi.org/10.52340/idw.2021.500>

VI საუკუნის შემდეგ სულ მალე ადიღეებმა დაიკავეს შავი ზღვის სანაპირო, ტამანის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც იქამდე ბატონობდნენ გოთი-ტეტრაქსიტები. ეს დაკავშირებული იყო ადიღეური ტომების ზიხების გაძლიერებით, რომლებიც ცნობილნი შეიქმნენ ჩვ. წ. აღრიცხვის I საუკუნეში. თავდაპირველად ზიხები ითვლებოდნენ პატარა ტომებად, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე ქალაქებს - ტუაფსესა და გაგრას შორის. II საუკუნეში ზიხების ბელადმა სტახემფაკმა გამოაცხადა, რომ თავს თვლის რომის იმპერატორის ხელდებულად. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია სამეზობლოში მისი პოზიციების განმტკიცება. V საუკუნეში ზიხების ტერიტორია მნიშვნელოვნად გაიზარდა და გადაინაცვლა ჩრდილო-დასავლეთისკენ დაახლოებით ცემესის ყურემდე. VI საუკუნის ავტორი პროკოფი კემარიელი ტეტრაქსიტებს და „აბაზგებს“ შორის მოიხსენიებს მხოლოდ და მხოლოდ ზიხებს. VI საუკუნის შემდეგ ტეტრაქსიტები გაუჩინარდნენ ისტორიის ფურცლებიდან, ხოლო ზიხები პირიქით, ხდებიან უფრო და უფრო ცნობილები. თეოფანე, რომელიც ცხოვრობდა VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში, იცნობდა „ზიქეთს“, როგორც მნიშვნელოვან ქვეყანას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მის სამხრეთ საზღვარზე მდინარე ნერეპსუხის პირზე მდებარეობდა იმ პერიოდისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ქალაქი ნიკოპსია.

ჩვ. წ. აღრიცხვით I ათასწლეულში ზიხების ტერიტორიის გაფართოება ცხადია ადგილობრივი ტომების კონსოლიდაციაშიც აისახა. არანაირი საფუძველი არ არის იმისა, რომ ზიხებმა თავიანთი მეზობლები შეავიწროვეს და მათ ტერიტორიაზე დასახლდნენ. სავარაუდოდ, მეზობელი ტომები გაერთიანდნენ ზიხებთან და მათ ტერიტორიაზე ფართო მსაშტაბით განსახლდნენ. ისინი თანდათანობით ცნობილნი გახდნენ ზიხების სახელით. შავიზღვისპირეთის ტომთა ეს გაერთიანება გახდა საფუძველი ამ მხარის ადილეთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა, რომლის მთავარ ბირთვს წარმოადგენდა ზიხების ტომი. ასეთი კავშირის ჩამოყალიბების მიზეზი უცნობია, მაგრამ ამ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მთავარი შესაძლოა გამხდარიყო გარე მტერთაგან შეიარაღებული თავდაცვის აუცილებლობა, მაგალითად ტეტრაქსიტებთან და უტურგურებთან.

ამასთანავე, არ შეიძლება გამოვრიცხოთ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტორი, რომ შესაძლოა ზიხების გადაადგილება მომხდარიყო III-VII საუკუნეებში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. სწორედ ამიტომაც დასაშვებია ტომთა ერთმანეთში აღრევა შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე და ამ შემთხვევაში ერთი ტომის მეორესთან გარდაუვალი ასიმილაცია. ამის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს გელენჯიკის მახლობლად (V-IX სს) ბორისოვსკის სამარხი, რომელშიც გვხვდება სინქრონული დაკრძალვები, სადაც ნეშტები განთავსებულია სხვადასხვა მდებარეობით, განსხვავებული ფორმებით და სხვადასხვანაირ სათავსოებში. ასევე, გვხდება ნეშტის დაწვის შემთხვევებიც.

ზიხებთან ასიმილირებული ტომებიდან დაბეჯითებით შეიძლება პირველ რიგში ახების შესახებ აღნიშნოთ, რომლებიც ზიხებისგან შავიზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთით სახლობდნენ. ასიმილაციას დაქვემდებარნენ ზოგიერთი სხვა პატარ-პატარა ტომებიც.

მაგრამ ზიხების ტომობრივმა კავშირმა ვერ შეძლო მთლიანად მოეხდინა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ტომთა გაერთიანება. მათ გვერდით წარმოიშვა კიდევ ორი ტომობრივი გაერთიანება: ჩრდილოეთით კასოგებისა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით აბაზებისა.

სიტყვა „კასოგი“ და მისი ვარიანტები (კასახ, კაშაე, კოსოგ) გავრცელდა სხვადასხვა ხალხებში ალანთა მეშვეობით, რომელთა წინაპრები (ოსები) დღემდე უწოდებენ ადიღეებს ასეთ სახელს. არსებობდა თუ არა ადიღეებში ტომი, რომელიც თავს ასეთი სახელწოდებით მოიხსენიებდა, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ადრეული წყაროები კასოგებს ზიხებისაგან განასხვავებდა.

ბერი ეპიფანია, რომელმაც გაიარა გზა კავკასიის ქედის მიდამოები შავიზღვისპირეთისა VIII-IX საუკუნეებში, წერდა, რომ „ანდრია მოციქულმა, რომელიც იმყოფებოდა თანამედროვე სოხუმში, კასოგდიანებში იქადაგა ქრისტიანობა“. მევლსლავურ თარგმანში ეპიფანიისა იმ ადგილას ნახესენებია „კანოსები“ ე.ი კასოგები. მაშასადმე კასოგები პირველად მოიხსენიებიან VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ ეპიფანიას, ისევე როგორც მოგვიანებით კონსტანტინე ბაგრიანოროდნის ერთმანეთში არ ეროდათ კასოგები და ზიხები.

აფხაზთა ტერიტორიაზე გაჩნდა აბაზების ტომობრივი გაერთიანება-კავშირი, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე კრასნოდარის მხარის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში.

I ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ნაწილი დაკავებული ჰქონდათ ვაინახებს და ირანულენოვანი ალანების ტომებს. ალანთა მიერ დაკავებული ტერიტორია წერილობით წყაროებში სქემატურად. IV საუკუნის მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფის კასტორიეს მიერ შედგენილ „პევტინგერის რუკაზე“ ალანების თაობაზე მითითებულია, რომ ისინი სახლოებენ კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, ასევე ლაზების ჩრდილოეთით, ე.ი. დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთით. თუმცა ავტორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ალანებს ადრეული ხანიდან კავკასიისწინა აღმოსავლეთის რაიონები. II საუკუნეში კლავდია პტოლემეი თერგის ბარის დინებას უწოდებდა ალონტას, რომელიც VII საუკუნეში დაფიქსირებულია სხვა ფორმით (ალანდონ), „სომხურ გეოგრაფიაში“. ალანების უმეტესწილად განსახლებული იყვნენ ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ რაიონებში.

ჩვ. წ. აღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები ემთხვევა წერილობითი წყაროების მონაცემებს. ალანებისთვის დამახასიათებელი იყო კატაკომბებში დაკრძალვა. კატაკომბური დაკრძალვების არეალი მოიცავს ტერიტორიებს აღმოსავლეთისკენ მდ. დიდი ლაბადან ინგუშეთის, ჩეჩენეთის და დაღესტნის საზღვრებამდე. (აյ გამოირიცხება მთიანი ზონა ჩეჩენეთ-ინგუშეთისა) ალანთა ყორღანული სამარხები IV-V საუკუნეებში აღმოჩენილია სამხრეთ დაღესტნის ტერიტორიაზე, რომელსაც მკვლევარები უკავშირებენ მასკუტების ირანულ ტომებს, რომლებიც აქ დაფიქსირებულია წერილობითი წყაროების თანახმად.

საკმაოდ მყარი მტკიცებულებები არსებობს იმის თაობაზე, რომ ხაზართა კაგანატის თავდაპირველ სახელწიფოებრივ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნი როლი ითამაშეს თანამედროვე ვაინახების, დაღესტნელების, ადიღეული ჯგუფის ხალხების წარმომადგენლებმა. თვით ხაზარები ხომ ძირითადად არააბორიგენი, ნახევრადსემიტური მოსული ეთნოსი იყო. მოგვიანებით ხაზართა დიდი ნაწილი განდევნილ იქნა ინგუშეთის, ჩეჩენეთის, დაღესტნის, ასევე ამჟამინდელი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდან, სტავროპოლიდან, კალმიკეთიდან და კრასნოდარიდან. როგორც ჩანს ხაზართა განდევნის მთავარი მიზეზი გახდა მათ მიერ იუდაისტური რელიგიის მიღება, რომელიც ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობისთვის.

ჩვ. წ. აღრიცხვის VIII საუკუნეში დაღესტნის ტერიტორიაზე გამოჩნდა მთელი რიგი ადრეული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები, როგორც საზოგადოების განვითარების კანონზომიერი შედეგი. ამ დროისათვის ცნობილი ხდებიან ისეთი „სამეფოები“ როგორიცაა

ლაკზი, თაბასარანი, სარირი, ზირიხგერანი, კაიტაგი (ხაიდავი) კუმიკი და სხვა.

თანამედროვე დაღესტნის ყველაზე სამხრეთ ტერიტორიაზე იყო „სამეფო“ მასკატი. ქართული წყაროების თანახმად, „მასკუტები ცხოვრობენ ზედ ზღვისპირზე, სადაც სრულდება კავკასიის მთავარი ქედის განშტოებები. და სადაც აშენებულია დარუბანდის კედელი, უზარმაზარი გამაგრება, რომელიც შედის ზღვაში“. მასკატის დამოუკიდებელი არსებობა შეინიშნება IX საუკუნის პირველ ნახევრამდე, როცა იგი შედიოდა დერბენტის საემიროს და შირვანის შემადგენლობაში. მასკატის ჩრდილოეთით განლაგებული იყო დერბენტი, რომელიც თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრს აღმოსავლეთ კავკასიაში ჯერ სასანიდების, შემდგომში კი არაბების. IX საუკუნის პირველი ნახევრიდან იგი ხდება დამოუკიდებელი საემიროს ცენტრი, რომელშიც გერთიანებული იყო ყოფილი მასკატის ტერიტორიის ნაწილიც, თვით დერბეტნი (დარუბანდი) და მისი გარეშემო - რიგი ტერიტორიები ქალაქის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს.

სასანიდების ბატონობის ეპოქაში დერბენტის რაიონში და დაღესტნის სამხრეთ ნაწილში ჩამოსახლეს სპარსელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელთაც უნდა დაეცვათ სასანიდების იმპერიის საზღვრები.

„ტაბასარანის სამეფო“ (ტაბასარანი) განლაგებული იყო დერბენტიდან ჩრდილო დასავლეთი მხარეს, მდინარე სუბასის ხეობაში და მის ტერიტორიაზე გადიოდა დერბენტის კედლის ნაწილი. დაღესტნის სხვა მიწებისგან განსხვავებით ტაბასარანი განიცდიდა თავდაპირველად სასანიდების, ხოლო შემდეგ კი არაბების ინტენსიურ კოლონიზაციას. მოსახლეობა აქ ეთნიკურად ჭრელი იყო, თუმცა ადგილობრივი ეთნიკური ტაბასარანელები სჭარბობდნენ.

ლაკზი განლაგებული იყო დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, უმთავრესად მდინარე სამურის ხეობაში. იგი მოიცავს ლეზგინებით დასახლებულ ტერიტორიას.

დერბენტის ჩრდილოეთით, ბარში და მთისწინა ადგილებში ხაზარების წასვლის შემდეგ წარმოიშვა კაიტაგის „სამეფო“, რომლის მოსახლეობა ხაზართა მეფეების მიწების შემადგენლობაში შედიოდა. კაიტაგის დასავლეთით „მთების მიმართულებით ერთმანეთს მიჰყება ზარიკანი და ზირიგერანი ...“ თანამედროვე აულ კუბაჩის რაიონები. (ზირიხ - ირან-სპარსულად ნიშანვას „ჯავშნის ოსტატს“ იარაღის მკეთებელს).

პოლიტიკური წარმონაქმნი გუმიკი განლაგებული იყო დაღესტნის ცენტრალურ ნაწილში და მოიცავდა თანამედროვე ლაკზის ტერიტორიას. ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახელწოდება აისახა ლაკზის ყველაზე მსხვილ დასახლებულ პუნქტზე - კუმუხზე.

მთიანი დაღესტნისა და ჩეჩენეთის ტერიტორია, კერძოდ ავართა მიწა არაბულ წყაროებში ჩნდება როგორც „სახიბ ას-სარირის“ მიწა.

როგორც ისტორია მოწმობს სარირი (სერირი) ჩეჩენ-ავარული სახელმწიფო, ალანურ სახელმწიფოსთან სინქრონულად არსებობდა ცენტრით ზუნძაბი - V-VIII საუკუნეებში. სერირი იყო უმსხვილესი სახელმწიფო, რომელიც მასში შემავალი დასახლებების რაოდენობით აღემატებოდა აღმოსავლეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებს. სპარსი ავტორი XIII საუკუნეში უკრძობოდა X-XI საუკუნეების ისტორიულ წყაროებს, წერდა, რომ „სარირი არის მხარე აფხაზებს (საქართველოს), ყივჩაღებს, შირვანსა და დერბენტს შორის. მხარე არის დიდი, მოვლილი, ძნელად მისადგომი. მათი ფადიშაპი უმველესი წარმომავლობისა და გულუხვია“.

დაღესტნურ მმართველობებს შორის გვხვდება აგრეთვე დუდანია, შანდანი, ფილანი და სხვა. დუდანია მოიცავდა ტერიტორიას დაღესტნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, ე.ი. დღევანდელი დიდოეთის ტერიტორიას. ჯერ კიდევ „სომხეთის გეოგრაფია“ გვამცნობს დიდოეთის შესახებ, რომელთაც ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული პერიოდისთვის მიმდინარე მოვლენებში. შანდანი - ეს არის ტერიტორია, რომელიც ცნობილია სახელწოდებით აკუშა-დარგო. სხვა პოლიტიკური ერთეულების ლოკალიზაცია ამ ეტაპზე გართულებულია ისტორიული წყაროებში უამრავი გაურკვევლობის გამო.

ამრიგად, VI-VIII საუკუნეებში დაღესტნის ტერიტორიაზე წარმოიქმნა რამდენიმე

მტკიცე პოლიტიკური წარმონაქმნი, რომლებიც ფლობდნენ დაღესტნის ძირითადი ეთნიკური ჯგუფების ტერიტორიებს. ამ პოლიტიკური გაერთიანებების ფარგლებში მიმდინარეობდა **ლიტერატურა:**

1. Ат-табари. Тарих ар-русул ва-л-му-лук. Лейден, 1881-1882. Т. 1 С. 896 На араб. Яз.
2. Анчабадзе З.В. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959. С 110.
3. Лавров Л. И., Адыги в раннем средневековье. Статья по истории Кабарды, Нальчик, 1955. Вып. 4. С. 57.
4. Минорский В. Ф. История Ширвана и Дербенда. М., 1963. С. 204. Примеч. 73. С. 221. Примечю 26.
5. Харадзе Р. Л., Робакидзе А. И. К вопросу о Нахской топономике. КЭС. Тбилиси, 1968. Вып. 2. С. 26.
6. Армянская география VII в. По Р. Х. С. 16. На древнеарм. Яз.
7. Буниятов З. М. О длительности пребывания Хазар в Албании В VII-VIII вв. Изв. АН АзССР. 1961. N1. C. 33.
8. З. Э. Гумашвили, Л. Э. Гумашвили. История Государства и Права Чечни. Тбилиси 2014.

## North Caucasus aborigine population in VII-IX centuries Adighe-Zikhes and different states of Dagestan

Gumashvili Zaur  
Iakob Gogebashvili State University, Telavi

### Abstract

The article sets out how the formation process of Aborigen population - Adighe-Zikhes and Dagestan as a state, had developed in North Caucasus in VII-IX centuries.

For that period, Adyghes occupied black sea coast in the South-East of Tamans peninsula which had been ruled by Gothic-Tetraksites. The mentioned process served to strengthen Zikhes tribe, which became quite significant and prominent even earlier in 1<sup>st</sup> century BC.

In VIII century there appear plenty of state units in the territory of Dagestan as a result of society development. The "kingdoms" such as Tabasaran, Sarir, Kaitag, Gumukand etc. become established. These political units owned the territories of Dagestan main ethnic groups. Within these political units went formation process of Dagestan Main ethnoses.

**საკვანძო სიტყვები:** ზიხები, ტეტრაქსიტები, შავი ზღვა, მასკუტები, დერბენტი

**Keywords:** The Zikhes, Tetraksides, Black sea, The Maskuts, Derbent